ნინო მახაური

კოდოლანი იანოშის უნივერსიტეტი, უნგრეთი

16-20 თებერვალს კავკასიის უნივერსიტეტის კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის მენეჯერი, ნინო მახაური, Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში იმყოფებოდა კოდოლანი იანოშის უნივერსიტეტში, უნგრეთში.

ვიზიტის მიზანი იყო პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, კვლევის კუთხით არსებული პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარება და სამომავლო ერთობლივი ინიციატივების დაგეგმვა.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა შედგა კოდოლანი იანოშის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ თიმეა სოფია ტოთთან. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს უნივერსიტეტების კვლევითი საქმიანობის მიმართულებებისა და საერთო ინტერესის სფეროების შესახებ, ასევე განიხილეს ერთობლივი კვლევითი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობები.

შეხვედრებმა ხელი შეუწყო პარტნიორ ინსტიტუციებს შორის საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებას, საერთო მიზნების განსაზღვრასა და სამომავლო თანამშრომლობის ნაბიჯების დაგეგმვას, რაც პოზიტიურად აისახება ორივე მხარის აკადემიურ და კვლევით განვითარებაზე.